



N 21/6517
01/11/2022

6517-21-2-202211011129



შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის №21
ელ.ფოსტა: nino.sukhitashvili@heidelbergcement.ge

სსიპ ბარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №4962 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. კასპში ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებას და გაცნობებით შემდეგს:

როგორც სააგენტოს 2022 წლის 10 აგვისტოს №21/4339 წერილით გეცნობათ ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩა №2-ში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოების მიმდინარე საქმიანობაზე 2009 წლის 9 სექტემბერს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №79, ხოლო „ბარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე, 2018 წლის 15 აგვისტოს შესაბამისი ბარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-677) ასევე, ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგ ცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის წარმოებაზე 2017 წლის 10 მაისს გაცემულია ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა №32, ხოლო 2018 წლის 9 აგვისტოს „ბარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ 48-ე მუხლის მე-4 ნაწილის საფუძველზე შესაბამისი ბარემოსდაცვითი გადაწყვეტილება (ბრძანება №2-654). №32 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ახალი საწარმოს ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ უნდა მომხდარიყო №79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით გათვალისწინებული ძველი ტექნოლოგიური ხაზის დემონტაჟი.

სააგენტოს მიერ 2022 წლის პირველ ივნისს ქ. კასპში, შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე გაცემულია №26 სკოპინგის დასკვნა, რომელიც ასევე ითვალისწინებს ცემენტის წარმადობის გაზრდას. სკოპინგის ანგარიშის თანახმად, ცემენტის წარმადობის ზრდა წელიწადში 900 000 ტონიდან 970 000 განპირობებულია ახალი ტიპის ცემენტების გამოშვებით და მიიღწევა დანამატების გამოყენების ხარჯზე. წარმოდგენილი სკრინინგის ანგარიშის თანახმად, დაგეგმილია ცემენტის წარმოებაში ე.წ. სეპარირებული დაფქვა, რომლის დროსაც ერთი ან რამდენიმე დანამატის დაფქვა ხდება ცალკე დანადგარში, ამ დანამატის მოთხოვნილი დაფქვის სიწმინდით, ხოლო კლინკერი იფქვება თაბაშირთან ერთად ბურთულეზიან წისქვილში და შემდეგ ხდება ამ ორი ფქვილის მოთხოვნილი პროპორციით შერევა და საბოლოო პროდუქტის (ცემენტის) მიღება. კასპის ქარხანაში იგეგმება ზემოხსენებული ტექნოლოგიის დანერგვა ცემენტის N3 და N4 წისქვილებზე, რაც გულისხმობს კირქვის განცალკევებით დაფქვას არსებული ნედლეულის ვერტიკალურ წისქვილში და შემდეგ მის

შერევას დაფქული კლინკერისა და თაბაშირის ნარევთან. დაგეგმილი ცვლილების განხორციელებით კი, სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ შესაძლებელი იქნება წელიწადში 60,000 ტონით მეტი ცემენტის წარმოება. აღნიშნულის შესაბამისად სკრინინგის ანგარიში ითვალისწინებს ცემენტის წარმადობის გაზრდას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშსა და ზემოაღნიშნულ სკოპინგის ანგარიშში მოცემული ცვლილებები (ცემენტის წარმოების) ვერ იქნება განხილული როგორც ერთმანეთისგან დამოუკიდებელი საქმიანობები. ვინაიდან კომპანიის მიერ დაგეგმილი ცვლილებები ურთიერთდაკავშირებულია გარემოზე ზემოქმედების სრულფასოვანი/სრულყოფილი შეფასებისათვის მიზანშეწონილია წარმოდგენილი სკრინინგის განცხადებით განსაზღვრული საქმიანობის შესახებ ინფორმაცია აისახოს სააგენტოს N26 სკოპინგის დასკვნის საფუძველზე წარმოსადგენ გზშ-ის ანგარიშში.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე სკოპინგის დასკვნით (N26) შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯია“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშში ასახოს დეტალური ინფორმაცია N32 და N79 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნებით განსაზღვრული საქმიანობების შესახებ და მიუთითოს მოთხოვნილი აღნიშნული ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნების (შესაბამისი გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების) გაუქმების/ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

